შეთანხმება #1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #286 ხელშეკრულებაში

ცვლილებების შეტანის შესახებ.

ქ. ბათუმი **01/12/2017 წელი.**

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - წარმოდგენილი დეპარტამენტის უფროსის არჩილ ჩიქოვანის სახით, შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს "ბლექ სი +", წარმოდგენილი დირექტორის ჯანი ბოლქვაძის სახით, შემდგომში "მიმწოდებელი", მხარეთა შორის 2017 წლის 18 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული #286 ხელშეკრულების **(ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ჩაქვის #2 ჩაის ფაბრიკა-ქვედა აჭყვა" კმ3+118 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა),** მე-12 მუხლის 12.3 და 12.6 პუნქტების საფუძველზე, შპს "ბლექ სი +"ის 30/11/2017 წლის წერილის, გარემოს ეროვნული სააგენტოს 01/12/2017 წლის #12/1-1157 ცნობის გათვალისწინებით, დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 01 დეკემბრის (#135 სხდომის ოქმი) გადაწყვეტილებით, მხარეთა შორის 2017 წლის 18 აგვისტოს დადებულ #286 ხელშეკრულებაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ხელშეკრულების მე-13 მუხლის - "ხელშეკრულების მოქმედების ვადა" 13.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

13.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან (თუ სხვა კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული), მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე, 2017 წლის 05 დეკემბრის ჩათვლით.

2. "შემსყიდველსა" და "მიმწოდებელს" შორის 2017 წლის 18 აგვისტოს დადებული #286 ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან, ერთვის შესყიდვის შესახებ #286 ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

"შემსყიდველი" "მიმწოდებელი"

დეპარტამენტის უფროსი: **შპს „ბლექ სი +"-ის დირექტორი:**

არჩილ ჩიქოვანი **ჯანი ბოლქვაძე**

აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის ტექნიკური საბჭოს

სხდომის ოქმი №135

01 დეკემბერი 2017 წელი

ქ.ბათუმი

სხდომის თავმჯდომარე: ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე რ.ბერიძე

ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ.სანიკიძე

ტექნიკური საბჭოს წევრები: ა.დუმბაძე, რ.დევაძე ა.თედორაძე, გ.აბაშიძე

დღის წესრიგი

შპს ,,ბლექსი+"-თვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა ,,ჩაქვის #2 ჩაის ფაბრიკა - ქვედა აჭყვა" კმ3+118 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებზე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ა. თედორაძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 18 აგვისტოს გაფორმებული №286 ხელშეკრულებით შპს ,,ბლექსი+" აწარმოებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა ,,ჩაქვი #2 ჩაის ფაბრიკა-ქვედა აჭყვა" კმ3+118 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებს.

სამუშაოების მიმდინარეობისას გაუთვალისწინებელი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობამ, ასევე ნოემბრის თვის ნალექიანმა ამინდებმა (დანართი #1.#12/1-1157. 01.12.2017წ) განაპირობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დაუსრულებლობა, რისთვისაც მომწოდებელს ერიცხება ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები. ვინაიდან დღემდე არ იქნა დასრულებული სხვადასხვა ხელისშემშლელი მიზეზების გამო საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, გამომდინარე აქედან ტექნიკური საბჭო მიზანშეწოლილად მიიჩნევს მშენებლობის დასრულების აუცილებლობას და ამისათვის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას 2017 წლის 06 დეკემბრამდე.

აზრი გამოთქვეს:

ტექნიკური საბჭოს თავმჯ-რემ
რ.ბერიძემ

ტექნიკური საბჭოს თავმჯ-რის
მოადგილე: მ.სანიკიძემ

წევრებმა: რ.დევაძემ, გ.აბაშიძემ,
ა.დუმაბაძემ

ტექნიკური საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს მოსაზრებას, ზემოთხსენებული ობიექტზე არსებული მიზეზების გამო #286 ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებას 2017 წლის 06 დეკემბრამდე.

დაადგინეს: 1. რეკომენდაცია მიეცეს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, შპს „ბლექსი+"-ს მიმდინარე წლის 18 აგვისტოს გაფორმებული №286 ხელშეკრულები მოქმედების ვადის 2017 წლის 06 დეკემბრამდე გაგრძელების თაობაზე.

ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობოს შესყიდვების განყოფილებას შესაბამისი პროცედურების გასატარებლად.

ტექნიკური საბჭოს თავმჯ-რე: /რ. ბერიძე/

ტექნიკური საბჭოს თავმჯ-რის მოადგილე: /მ. სანიკიძე/

წევრები: /რ. დევაძე/

/ა. თედორაძე/

/ა. დუმბაძე/

/გ. აბაშიძე/

ტექნიკური საბჭოს მდივანი: /ი. ბერიძე/

B.S.+
Construction Company LTD„BLACK SEA +“ შპს „ბლეექ სი +“

ბათუმი, 30.11.2017

აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო
სისტემების მართვის დეპარტამენტის უფროსს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენ შორის 2017 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული იქნა #286 ხელშეკრულება, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ჩაქვის #2 ჩაის ფაბრიკა-ქვედა აჭყვა“ - კმ3+118 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებზე.

შექმნილი უამინდობის გამო ვერ მოხერხდა სამშენებლო სამუშაოების დასრულება

გთხოვთ გაითვალისწინოთ შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაცია და გაგვიგრძელოთ ხელშეკრულების მოქმედების ვადა .

პატივისცემით,
შპს ბლეექ-სი+“-ის დირექტორი

ჯანი ბოლქვაძე

შპს „ბლეექ სი +“ LTD“ BLACK SEA +“
Email:adjarian.business@gmail.com T- 577 444 733
მის.: ბათუმი.მელაშვილის ქ#25 ბ15 2262 30 11 17 ს/ს. 445 459 174

ეანერთ №1

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

გარემოს ეროვნული სააგენტო
NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

№ 12/1-1157

01 12 2017 წ.

შპს „ბლექ სი +"- ს დირექტორს

ბ-ნ ჯანი ბოლქვაძეს

ბატონო ჯანი,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტო"-სა და შპს „ბლექ სი +"-ს შორის 2017 წლის 30 ნოემბერს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ №ფმ-1/1083 ხელშეკრულების შესაბამისად, ქ. ბათუმის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე დაყრდნობით, გაცნობებთ, რომ 2017 წლის 01 - 13 ნოემბრისა და 22 - 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში ნალექი აღინიშნა:

01, 02, 08, 09, 10, 13, 22, 23, 24, 25, 29, 30 - ნოემბერს;

სულ - 12 **დღე.**

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსი **თამარ ბაგრატია**

ფ. აღმაშენებლის გამზ. 150, 0112, თბილისი, საქართველო
150 D. AGMASHENEBELI AVE., 0112, TBILISI, GEORGIA

Tel: +995 32 2439502 FAX: +995 32 2439503
E-mail: info@meteo.gov.ge Web: www.meteo.gov.ge